შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“

(საინფორმაციო ბარათი)

1. ზოგადი ინფორმაცია ჩვენ შესახებ

1.1. სტატუსი:

შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402 298 063) წარმოადგენს ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის მიერ 2026 წლის 13 მარტს რეგისტრირებულ (კორესპონდენცია N01/247) ელექტროენერგიის თავისუფალ მიმწოდებელს.

ინფორმაცია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს, თავისუფალ მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ: https://esco.ge/ka/chvens-shesakheb/esco-news/informatsia-sabitumo-vachrobashi-monatsiled-registratsiis-shesakheb-922-923

1.2. ინფორმაცია ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობის შესახებ:

შპს „ელექტროენერგიის მიმწოდებელი“ მიაწვდის ელექტროენერგიას დერეგულირებულ ფასად ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებს (მცირე საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გარდა), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში: სემეკ) მიერ დადგენილი წესების (მათ შორის და არა მხოლოდ): სემეკ-ის 2023 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში: საცალო ბაზრის წესები) მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საინფორმაციო ბარათი:

შენიშვნა: წინამდებარე საინფორმაციო ბარათი შედგენილია N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებისთვის (გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge) და განკუთვნილია მსხვილი მომხმარებლის კატეგორიის მომხმარებლისთვის.

საჭიროება:

საცალო ბაზრის წესების მუხლი 12 (მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება), პუნქტი N5:

‘5. მიმწოდებელი ვალდებულია, ვებგვერდზე გამოაქვეყნოს და მიწოდების დაწყებამდე მომხმარებელს გადასცეს საინფორმაციო ბარათი, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“-„ე“ და „ი“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.’ ...

ამავე მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესატყვისი „გ“-„ე“ და „ი“-„კ“ ქვეპუნქტები:

გ) მიმწოდებლის უფასოდ შეცვლის პროცედურის შესახებ ინფორმაცია:

ეს ინფორმაცია მოყვანილია N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზების (გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge) მე-6 პუნქტში.

დ) პრეტენზიის განხილვის ვადა და წესი:

N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზება (გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge) განკუთვნილია მსხვილი მომხმარებლის კატეგორიის მომხმარებლისთვის და არ ითვალისწინებს მსგავს მომსახურებას.

ე) სადავო საკითხის განხილვის წესი, კომისიასა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისათვის მიმართვის უფლების შესახებ ინფორმაცია:

მხარეები ეცდებიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით.

მომხმარებელი უფლებამოსილია, თავისი უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს კომისიას, კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს ან სასამართლოს.

სემეკ-ს: მისამართი: თბილისი 0194, მიცკევიჩის 19; ქოლცენტრი: 16 216; ტელეფონის ნომერი: (+ 995 32) 2 42 01 80; ელექტრონული ფოსტა: mail@gnerc.org, ვებ-გვერდი: http://gnerc.org

და

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს:

მისმართი:

ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №27ბ

ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა №16

ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქუჩა №16

ქ. ბათუმი, კლდიაშვილის ქუჩა №10

ცხელი ხაზი: (+995 32) 2 42 01 90; ელექტრონული ფოსტა: mail@pdci.ge; ვებ-გვერდი: www.pdci.ge.

ი) მომსახურების საფასურის გადახდის საშუალებები:

ინფორმაცია მომსახურების საფასურის გადახდის საშუალებებზე მოყვანილია N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზების (გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge) მე-9 პუნქტში.

კ) რეკომენდაციები მოხმარების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის სხვა ღონისძიებების თაობაზე:

ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის სხვა ღონისძიებების მისაღებად, რეკომენდებულია, მსხვილმა მომხმარებელმა ჩაატაროს თავისი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ენერგო-აუდიტი. ჩატარებული ენერგო-აუდიტის ანგარიშის მიხედვით კი განახორციელოს მოხმარების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის ყველა საჭირო ღონისძიება.